ბიპი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედი და ბიპი ექსპლორეიშენ (შაჰ დენიზ) ლიმიტედი თავიანთი ბიზნესსაქმიანობის შედეგებს აქვეყნებენ პრესრელიზის სახით. ბიპი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედი აზერი-ჩირაგ-გუნაშლის საბადოს ოპერატორი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მმართველი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიის მილსადენების საერთო ოპერატორია. ბიპი ექსპლორეიშენ (შაჰ დენიზ) ლიმიტედი შაჰ დენიზის საბადოს ოპერატორია. თითოეული ამ საწარმოთაგანი გვაწვდის მათი პროექტების შესაბამის ინფორმაციას, და აკეთებს განცხადებებს თავიანთი პროექტების შესახებ.

ინფორმაცია ბიზნესსაქმიანობის შესახებ
2024 წლის შედეგები

2025 წლის 13 თებერვალი

<u>აზერი-ჩირაგ-გუნაშლი (ACG)</u>

ACG-ის წილობრივი მონაწილეობა: bp (30.37%), SOCAR (31.65%), MOL (9.57%), INPEX (9.31%), ExxonMobil (6.79%), TPAO (5.73%), ITOCHU (3.65%), ONGCVidesh (2.92%).

ბიპი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედი ACG-ის ოპერატორია, ACG-ის პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეების სახელით.

2024 წლის განმავლობაში, ACG-ის საქმიანობის ფარგლებში, ბიპი-ს და მისი პარტნიორების საოპერაციო დანახარჯი დაახლოებით 535 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო კაპიტალური დანახარჯი კი 1,293 მილიონი აშშ დოლარი იყო.

2024 წელს, ACG-ზე ახალი 4-განზომილებიანი სეისმური პროგრამა დაიწყო. პროგრამა, რომელიც 'ბალახანის' და 'ფასილას' რეზერვებს შეისწავლის 740 კვადრატულ კილომეტრზე იშლება წყაროს ქვეშ და 507 კვადრატულ კილომეტრზე მიმღების ქვეშ. პროგრამის საერთო ღირებულება დაახლოებით 370 მილიონი აშშ დოლარია და ხანგრძლივობა ხუთი წელი (2024-2028). ეს ბიპის მიერ

განხორციელებული სეისმური ძიების ვალდებულებათა შორის უდიდესია ყველა განზომილების მიხედვით - როგორც თავისი მასშტაბით და დანახარჯით, ასევე პროგამის ხანგრძლივობით. 2024 წლის გეგმიური სეისმური სამუშაოები უსაფრთხოდ დასრულდა გრაფიკით გათვალისწინებულ დროზე ადრე. აჟამად მიმდინარეობს მიღებული მონაცემების სეისმური დამუშავება.

პლატფორმამ, რომელიც კასპიის ზღვის აზერი-ჩირაგ-გუნაშლის საბადოზე დამონტაჟებული რიგით მეშვიდე საზღვაო პლატფორმაა, პირველი ნავთობი 2024 წლის აპრილის შუა რიცხვებში აწარმოა. წარმოების ზრდასთან ერთად და დამატებით ორი ჭაბურღილის გაშვების შედეგად, 2024 წლის ბოლოსთვის დღიურმა წარმადობამ დაახლოებით დღეში 26,000 ბარელს მიაღწია.

ACE ბიპი-ს პლატფორმებს შორის ტექნოლოგიურად და ციფრულად მოწინავე პლატფორმაა. პლატფორმას სრულად ავტომატიზირებული საბურღი დანადგარი აქვს. თანამედროვე ტექნოლოგიების და ახალი პროცესების გამოყენება ასევე ეხმარება ემისიების შემცირებას.

ACE-ის უსაფრთხოდ გაშვება, ის მნიშვნელოვანი მიღწევაა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა მას შემდეგ, რაც 2017 წელს ACG-ის პარტნიორებმა ხელი მოაწერეს ACG-ის პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას და უდიდესი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიიღეს.

აზერი-ჩირაგ-გუნაშლის საბადოზე 2024 წლის ოქტომბერში პირველად იქნა გამოყენებული წნევით ამოჭრის ინოვაციური ტექნოლოგია ღრმაწლებში რეზერვების შეფასების მიზნით. ეს ტექნოლოგია ბიპი-მ პირველად კასპიის რეგიონში გამოიყენა.

ეს მეთოდი გამოყენებულ იქნა ბალახანის მეშვიდე ფორმაციაში, დასავლეთ აზერის ჭაბურღილის გავლით. ჩატარებული ოპერაციით ოთხი სრულად დაჭირხნული ნიმუში წარმატებით იქნა მოპოვებული. მიღებულ ნიმუშებში ადგილზე არსებული სითხეების სრული სპექტრი იქნა შენარჩუნებული. ეს ნიმუშები, ადგილობრივ მონაცემებთან ერთად გადაიგზავნა ლაბორატორიაში შემდგომი კვლევისთვის.

<u>წარმოება</u>

2024 წლის განმავლობაში ACG-მ გააგრძელა უსაფრთხო და საიმედო წარმოება. ACG-მ წლის პირველი სამი კვარტლის განმავლობაში საშუალოდ დღეში 342,000 ბარელი ნავთობი აწარმოა. (ჯამში 125 მილიონი ბარელი ანუ 16 მილიონი ტონა) შემდეგი პლატფორმებიდან: ჩირაგიდან (23000 ბ/დ), ცენტრალური აზერიდან (97,000 ბ/დ), დასავლეთ აზერიდან (75,000 ბ/დ), აღმოსავლეთ აზერიდან (51,000 ბ/დ), გუნეშლის

ღრმაწყლებიდან (57,000 ბ/დ) და დასავლეთ ჩირაგიდან (29,000 ბ/დ) და ACE-დან (10,000ბ/დ).

2024 წლის მეოთხე კვარტალში აზერი-ჩირაგ-გუნაშლიმ 600 მილიონი ტონა ნავთობი აწარმოა.

2024 წლის ბოლოს, 148 ჭაბურღილი აწარმოებდა ნავთობს, აქედან 46 ჭაბურღილი წყლის და შვიდი კი გაზის ინიექციისათვის იყო გამოყენებული.

<u>ბურღვა და პროექტების დასრულება</u>

2024 წლის მანძილზე, ACG-მ 14 ნავთობის მწარმოებელი და სამი წყლის ინიექციის, ერთი გაზის ინიექციის და ერთი ბურღვის ნარჩენების რეინიექციის ჭაბურღილი დაასრულა.

<u>ასოცირებული გაზი</u>

წლის განმავლობაში, ACG-მ აზერბაიჯანის სახელმწიფოს საშუალოდ დღეში 7 მილიონი კუბური მეტრი ასოცირებული გაზი მიაწოდა (ჯამში 2.5 მილიარდი კუბური მეტრი). ძირითადად სანგაჩალის ტერმინალზე, ამასთანავე სოკარის ნავთობის ქანების ობიექტზე. წარმოებული ასოცირებული გაზის ნარჩენის რეინიექცია განხორციელდა რეზერვუარში წნევის შესანარჩუნებლად.

<u>არა-ასოცირებული გაზი</u>

2024 წლის 20 სექტემბერს, სოკარმა ბიპი-ს და ACG-ის სხვა პარტნიორებთან ერთად განაცხდა, რომ ხელი მოაწერა არსებული ACG პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ ხელშეკრულების დანართს, რომლის თანახმადაც გაგრძელდება ACG-ის საბადოდან არა-ასოცირებული გაზის საძიებო სამუშაოები, შეფასება, განვითარება და წარმოება. სავარაუდოდ ACG-ზე არა-ასოცირებული გაზის მნიშვნელოვანი მარაგებია, დაახლოებით 4 ტრილიონი კუბური ფუტი.

ხელშეკრულების დანართის შესაბამისად, სოკარი და ACG-ის პარტნიორები არა-ასოცირებული გაზის განვითარების გეგმის საწყის ეტაპებს გეგმავენ. ამ საქმიანობის ფარგლებში, მიმდინარეობს საწყისი საბურღი სამუშაოები ორი პრიორიტეტული რეზერვუარიდან გაზის მისაღებად. ამ ჭაბურღილის მოწყობა მნიშვნელოვანია, რადგან ის წარმოებასთან ერთად შეფასების საშუალებასაც იძლევა, რაც განვითარების გეგმებს დაედება საფუძვლად.

ჭაბურღილის მოწყობა არსებული დასავლეთ ჩირაგის პლატფორმიდან დაიწყო და პირველი გაზის მიღება მოსალოდნელია 2025 წლის მიწურულს.

სანგაჩალის ტერმინალი

2024 წელს ACG-ის და Shah Deniz-ის საბადოებიდან მოპოვებული ნავთობი და გაზი ზღვისქვეშა მილსადენებით სანგაჩალის ტერმინალისკენ მიედინებოდა.

ტერმინალს ამჟამად დღეში 1.2 მილიონი ბარელი ნედლი ნავთობის და კონდენსატის გადამუშვება და შაჰ-დენიზის საბადოზე მოპოვებული დაახლოებით 81 მილიონი სტანდარტული კუბური მეტრი გაზის გადამუშვება შეუძლია. თუმცა საერთო ჯამში ტერმინალის გაზის გადამუშავების და ექსპორტის სიმძლავრე, ACG-ს ასოცირებულ გაზთან ერთად დაახლოებით დღეში 100 მილიონი სტანდარტული კუბური მეტრია.

წლის განმავლობაში სანგაჩალის ტერმინალმა დაახლოებით 225 მილიონი ბარელი ნავთობის და კონდენსატის ექსპორტი განახორციელა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის გავლით. აქედან 224 მილიონი ბარელი BTC-ის საშუალებით და 1 მილიონი ბარელი ბაქო-სუფსის ნავთობსადენით.

გაზის ექსპორტი განხორციელდა სამხრეთ კავკასიის მილსადენის, სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოების სისტემის და აზერბაიჯანის გაზის მილსადენების საშუალებით, რომელიც სანგაჩალის ტერმინალის გაზის გადამამუშავებელ მოწყობილობებს აზერიგაზის ეროვნულ გამანაწილებელ სისტემასთან აკავშირებს.

2024 წლის განმავლობაში, სანგაჩალის ტერმინალიდან ექსპორტზე დღეში საშუალოდ 76 მილიონ სტანდარტულ კუბურ მეტრზე მეტი (დაახლოებით 2,654 მილიონი სტანდარტული კუბური მეტრი) შაჰ-დენიზის გაზი გადიოდა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (BTC)

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კომპანიის (BTC Co.) **აქციონერები არიან:** bp (30.10%), SOCAR (32.97%), MOL (8.90%), TPAO (6.53%), Eni (5.00%), TotalEnergies (5.00%), ITOCHU (3.40%), ONGCVidesh (3.10%), ExxonMobil (2.50%) and INPEX (2.50%),

2024 წლის განმავლობაში, BTC-ს საქმიანობის ფარგლებში ჩვენი საოპერაციო დანახარჯი დაახლოებით 146 მილიონ აშშ დოლარი იყო და კაპიტალური დანახარჯი კი 44 მილიონ აშშ დოლარი.

1768კმ სიგრძის მილსადენმა 2006 წლის ივნისში ფუნქციონირების დაწყებიდან 2024 წლის ჩათვლით ჯამში 4.4 მილიარდზე მეტი ბარელი ნედლი ნავთობი გაატარა (591 ტონაზე მეტი). 5,862 ტანკერი დაიტვირთა და გაიგზავნა მსოფლიო ბაზრებზე.

2024 წლის განმავლობაში, დაახლოებით 223 მილიონი ბარელი (29 მილიონ ტონაზე მეტი) ბი-თი-სი-ს მიერ ექპორტირებული ნედლი ნავთობი ჯეიჰანის ტერმინალზე 305 ტანკერში ჩაიტვირთა.

ბი-თი-სი ამჟამად ძირითადად აზერბაიჯანიდან ACG-ის ნედლი ნავთობის და შაჰ-დენიზის კონდენსატის ტრანსპორტირებას ახორციელებს. ბი-თი-სი-ს საშუალებით ასევე გრძელდება კასპიის რეგიონის ნედლი ნავთობის და კონდენსატის (ყაზახეთიდან, თურქმენეთიდან და სოკარის აზერბაიჯანში წარმოებული მოცულობებიდან) სხვა მოცულობების ტრანსპორტირება.

<u>შაჰ-დენიზი</u>

Shah Deniz-ის წილობრივი მონაწილეობა: bp (operator – 29.99%), LUKOIL (19.99%), TPAO (19.0%), SGC (16.02%), NICO (10.0%) და MVM (5.00%)

2024 წლის განმავლობაში, ბიპი-ს და მისი პარტნიორების საოპერაციო დანახარჯმა შაჰ-დენიზის პროექტში 2,203 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო კაპიტალური დანახარჯი 766 მილიონი აშშ დოლარი იყო, მათ შორის უმეტესი შაჰ-დენიზ 2-ის პროექტთან იყო დაკავშირებული.

პლატფორმა "შაჰ-დენიზ ალფა"-ზე (SDA) მიმდინარე ენერგო პროექტი, რომლის განხორციელებაც 2022 წელს დაიწყო, 2024 წლის ბოლოს წარმატებით დასრულდა. შედეგად პლატფორმა „შაჰ-დენიზ ალფა"-ს ენერგიას პირდაპირ პლატფორმა „ბრავო" აწვდის, რომელიც 8კმ-ის მოშორებით მდებარეობს. ენერგიის მიწოდება ხორციელდება წყალქვეშა ენერგო და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის საშუალებით. ასეთი სახის მოდერნიზაციის შემდეგ აღარ არის საჭირო ხუთი დიზელის გენერატორი, შაჰ-დენიზ ალფას გაშვების დღიდან რომ აწვდიდა ენერგიას. ამასთანავე გაიზარდა პლატფორმის ეფექტურობა, მდგრადი და გრძელვადიანი, ხელმისაწვდომი ენერგიის მიწოდება და მასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება.

წარმოება

წლის განმავლობაში შაჰ-დენიზის საბადომ განაგრძო გაზის მიწოდება ბაზრებისთვის აზერბაიჯანში (სოკარისთვის), საქართველოში (საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციისთვის), თურქეთში (ბოტაშისთვის) და კომპანია ბი-თი-სი-სთვის სხვადასხვა ლოკაციებზე და მყიდველებისთვის ევროპაში.

2024 წლის განმავლობაში, საბადომ ჯამში 28 მილიარდ სტანდარტულ კუბურ მეტრზე მეტი გაზი აწარმოა და დაახლოებით 4 მილიონი ტონა (დაახლოებით 35 მილიონ ბარელი) კონდენსატი შაჰ-დენიზ ალფა და შაჰ-დენიზ ბრავო პლატფორმებიდან.

შაჰ-დენიზის არსებული მოწყობილობების საწარმოო სიმძლავრე ამჟამად დღეში 79 მილიონ სტანდარტულ კუბურ მეტრ გაზზე მეტია, რაც წელიწადში 29 მილიარდ კუბურ მეტრს აღემატება.

პროექტი შაჰ-დენიზ 2

2024 წლის მეოთხე კვარტალში, შაჰ-დენიზ 2-ის პროექტმა უსაფრთხოდ განახორციელა აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის ფლანგის მე-3 ჭაბურღილებიდან წარმოების დაწყება. პირველი ჭაბურღილიდან წარმოება 13 თებერვალს დაიწყო. მეორედან კი 19 ივნისს. სამუშაოები მიმდინარეობს აღმოსავლეთ-სამხრეთის ფლანგზეც.

ბურღვა

2024 წლის განმავლობაში, შაჰ-დენიზის ალფა პლატფორმის საბურღი დანადგარი სრული დატვირთვისთვის მზადყოფნის რეჟიმში მუშაობდა.

საბურღი დანადგარების საშუალებით საერთო ჯამში 21 ჭაბურღილის ბურღვა დასრულდა. დასრულებულ ჭაბურღილებში შედის ხუთი ჭაბურღილი ჩრდილოეთის ფლანგზე, ოთხი დასავლეთის, ოთხი აღმოსავლეთ-სამხრეთის, ხუთი დასავლეთ-სამხრეთის და სამი აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის ფლანგებზე.

სამხრეთ კავკასიის მილსადენი

The SCP Co-ს აქციონერები არიან: bp (29.99%), SGC (21.02%), LUKOIL (19.99%), TPAO (19.00%) და NICO (10.0%).

2024 წლის განმავლობაში, SCPC-ს საოპერაციო დანახარჯი ჯამში დაახლოებით 81 მილიონ აშშ დოლარი იყო და კაპიტალური დანახარჯი კი დაახლოებით 20 მილიონი აშშ დოლარი.

SCPC 2006 წელს შევიდა ექსპლუატაციაში და შაჰ-დენიზის გაზს აწვდის აზერბაიჯანს, საქართველოს და თურქეთს. მილსადენის გაფართოების პროექტიდან თურქეთისთვის გაზის კომერციული მიწოდება 2018 წლის ივნისში დაიწყო და ევროპისთვის კი 2020 წლის დეკემბერში.

2024 წლის განმავლობაში, SCP-ის გაზის საშუალო გატარება იყო 62.8 მილიონი კუბური მეტრი დღეში.

საძიებო სამუშაოები

2024 წლის განმავლობაში გავაგრძელეთ შაჰ-დენიზის კონტრაქტის ფარგლებში მოწყობილი საძიებო ჭაბურღილიდან (SDX-8) 2023 წელს მიღებული მონაცემების შესწავლა, რაც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ღრმად მდებარე ქანებში არსებული პოტენციური მარაგები.

შაფაგ-ასიმანის საზღვაო ბლოკზე მოწყობილ პირველ საექსპლუატაციო ჭაბურღილზე (SAX01), არსებული რესურსების შეფასება და შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრა მიმდინარეობს.

2024 წლის 20 სექტემბერს, ბიპი-მ და სოკარმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის თანახმადაც ბიპი აპირებს შეუერთდეს ყარაბახის ნავთობის საბადოს და აშრაფი-დან ულდუზუ-აუფარას საძიებო ტერიტორიის შესახებ არსებულ ხელშეკრულებებს.

ადამიანები

2024 წლის ბოლოს კომპანიაში 237 ადამიანი იყო დასაქმებული.

ბი-პი საქართველოს თანამშრომლების 99%-ზე მეტი საქართველოს მოქალაქეა.

ბი-პი-ს ძალისხმევა მიმართულია თანამშრომლების სწავლების და განვითარების პროგრამების ოპტიმიზაციისკენ. კომპანია ცდილობს წვლილი შეიტანოს ადგილობრივი ტალანტის ბაზრის განვითარებაში და მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივი და კერძო სექტორის ინიციატივებში.

<u>სოციალური ინვესტიციები</u>

საქართველოში, ისევე როგორც კასპიის რეგიონში, ბი-პი-ს პროექტების წარმატება გარკვეულწილად დამოკიდებულია ოპერატორის შესაძლებლობაზე შექმნას ხელშესახები სარგებელი ამ პროექტებიდან რეგიონის მოსახლეობისთვის. ამის მისაღწევად ბი-პი და მისი პარტნიორები აგრძელებენ მნიშვნელოვანი სოციალური ინვესტიციების პროექტების განხორციელებას, მათ შორის განათლების დარგში, ადგილობრივი მოსახლეობის უნარ-ჩვევების და შესაძლებლობების გაზრდის, და მოსახლეობისთვის სოციალური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით, მცირე ბიზნესის წამოწყების და მისი განვითარების ხელშეწყობისთვის, დაფინანსების და ტრენინგების საშუალებით. ასევე კულტურული მემკვიდრეობის და სპორტის ხელშეწყობის და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ტექნიკური მხარდაჭერის საშუალებით.

2024 წელს ბი-პი-მ და პარტნიორებმა, (რომლებიც იმ ერთობლივი საწარმოების აქციონერები არიან, რომელთა ოპერატორიც ბი-პი-ა), საქართველოში სოციალური ინვესტიციის პროგრამების და პროექტების განხორციელებაზე 550 000 აშშ დოლარი დახარჯეს. ამ წლის მანძილზე გაგრძელდა ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის განხორციელება სამივე მილსადენის, (ბაქო-სუფსა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და სამხრეთ კავკასიის მილსადენი), გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობისთვის.

ამასთანავე 2024 წელს ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სოციალური ინვესტიციების და სასპონსორო პროექტების განხორციელებაზე დაიხარჯა 120 000 აშშ დოლარი. დაფინანსდა და განხორციელდა სხვადასხვა პროექტები. მათ შორის, სკოლის მოსწავლეების მიერ სოციალური ინოვაციების უნარ-ჩვევების შეძენის ხელშეწყობის მიზნით, სოფლის მეურნეობის, გარემოსდაცვითი/ბიომრავალფეროვნების და განათლების მიმართულებით, ასევე სერტიფიცირებული ინგლისური ენის კურსი მედიისთვის და დაცული ტერიტორიის თანამშრომლებისთვის.

საქართველოში განხორციელებული სოციალური ინვესტიციების პროგრამების შესახებ დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია: www.bpgeorgia.ge